

# საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №136  
2021 წლის 10 ივნისი

ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

## მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 30/08/2019, სარეგისტრაციო კოდი 230210000.22.033.017230) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №13) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონელი დაექვემდებარებოდა ანტიდემპინგურ ღონისძიებას თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მისი დეკლარირების შემთხვევაში;“.

2. „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №14) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქართველოს საქონლის ნაცვლად გადამუშავებული უცხოური საქონელი დაექვემდებარებოდა ანტიდემპინგურ ღონისძიებას თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მისი დეკლარირების შემთხვევაში;“.

## მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

